ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

28.07.2026 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: სპარტაკ კვაჭაძე, ირაკლი ცინცაძე, ვლადიმერ ნანაძე და ტატო ურუშაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი **გოდერძი ქურიძე**, შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ჩხაიძე** და **ბუღალტერი ლიკა მშვიდობაძე**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის" დირექტორი **გოჩა მოქია** და ბუღალტერი **კობა კუნჭულია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ბუღალტერი **ლუიზა სარიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი სააღმზრდელო, საგანმანათლებლო ცენტრის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მარინა კეიდია** და ბუღალტერი **მარინა ქანთარია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, სამუსიკო სკოლათა გაერთიანების" დირექტორი **ლია ურუშაძე**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" დირექტორი **ზაალ სანაძე** და შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის" ბუღალტერი **სალომე კვირკველია** და იურისტი **მარიამ ტოროტაძე**.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 7397,4 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 5412,8 ათას ლარს , საიდანაც 5053.0 ათასი ლარი მიიმართა 2026 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2026 წლის ბიუჯეტში 6793,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 2026 წლის I კვარტლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 10762,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (15740,6 ათ ლარი) 68,3 %-ია. 2026 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2752,6

ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3622,4 ათ ლარი) 75,9 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -768,9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1798,5 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -155.0 ათ ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7710,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 57.1% პროცენტია. დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1331.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.0 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1163.0 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობასა და განვითარებაზე დაიხარჯა 161.2 ლარი. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2026 წლის II კვარტალში გაიხარჯა 3830.3 ათასი ლარი, რაც გეგმის - 85.9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2745.0 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 824.7 ათასი ლარი რაც გეგმის 92.9 %-ია. სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2704.0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3486.8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 77.6 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1444.6 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1244.8 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერას - 14.7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 4697.8 ათასი ლარით 94.0 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 155.6 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 4542.2 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით 2026 წლის 6 თვის განმავლობაში სულ გაცემულია 44350 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ბიუჯეტი შესრულებულია 63%-ით.

მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელების მიერ სხდომაზე წარმოდგენილი და ასევე დეტალურად განხილული იქნა 6 თვის ფინანსური ანგარიშები. მათ ისაუბრეს ყველა იმ პრობლემასა და გამოწვევაზე, რომლის წინაშეც დგას თითოეული.

გოჩა მოქიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების" ცენტრს ესაჭიროება დამატებით ნაგვის ურნების შეძენა. მისი თქმით, ურნების გარკვეული რაოდენობა გამოსულია მწყობრიდან და არ ექვემდებარება შეკეთებას, ასევე სოფლებშიც რაოდენობრივად საკმარისი არ არის, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის კუთვნილებაში მყოფი მანქანები არის ძალიან ძველი და მათი შეკეთება წლიურად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასევე გამართული მუშაობისთვის მიზანშეწონილია დამატებით სატრანსპორტო საშუალების „კალათის" შეძენა, ვინაიდან აღნიშნული ტრანსპორტის დაქირავება დღიურად შეადგენს დაახლოებით 1000 ლარს და შესაბამისად ამ შემთხვევაშიც ხარჯი წლის განმავლობაში ძალიან დიდია. მისი თქმით სხვა მხრივ აღნიშნული ა(ა)იპის წლის ბიუჯეტი სწორადაა დაგეგმილი და დღეის მდგომარეობით არ საჭიროებს რაიმე ტიპის ცვლილების შეტანას. როგორც კომისიის წევრებმა, ასევე ა(ა)იპის ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს **გოჩა მოქიას** და ცენტრის თანამშრომლებს ოპერატიული და ხარისხიანი მუშაობისთვის.

ზაალ სანაძემ მადლობა გადაუხადა მერს და საკრებულოს წევრებს გვერდით დგომისთვის და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" წლის ბიუჯეტი სწორადაა დაგეგმილი და შესაბამისად დღეის მდგომარეობით რაიმე ტიპის ფინანსური პრობლემა არ წარმოქმნილა.

მედეა ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" მიერ შემოტანილია წერილი, როგორც მერიაში ასევე საკრებულოშიც, იმის შესახებ, რომ სპორტსმენების კვების დღიური თანხა (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) მიზანშეწონილია გაიზარდოს 30 ლარამდე, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად

მიმდინარეობს მუშაობა და სავარაუდოდ მომავალი წლიდან აღნიშნული საკითხი მოგვარდება. მედეა ხუხუნაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა საცურაო აუზს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ა(ა)იპ-ის ბიუჯეტის ფარგლებში ეს შეუძლებელია.

გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" წლის ბიუჯეტი სწორადაა დაგეგმილი და ამ ეტაპისთვის რაიმე სახის ფინანსური პრობლემაც არ არსებობს. ასევე მიმდინარე წელს გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩატარდა „ლელოს" ღონისძიება და შესაბამისად მოხდა გარკვეული ფინანსების დაზოგვა. მან ასევე ისაუბრა ბიბლიოთეკების შესახებ და აღნიშნა, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკები სხვა გამოწვევების წინაშე დგანან და აუცილებელია, როგორც წიგნების განახლება, ასევე შენობების რეაბილიტაცია. მისი თქმით ასევე მწვავე საკითხია ის, ფაქტი, რომ კულტურის სახლი ძალიან ძველი შენობაა და აუცილებელია მისი რეაბილიტაცია, რაც სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეუძლებელია.

ლია ურუშაძემ ისაუბრა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, სამუსიკო სკოლათა გაერთიანების" პრობლემებზე და აღნიშნა, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამუსიკო სკოლაში პედაგოგების დეფიციტია, ვინაიდან მათი ხელფასები ძალიან დაბალია. პედაგოგის საათობრივი ანაზღაურება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან შედარებით 10 ლარით ნაკლებია. მან ითხოვა სამუსიკო სკოლის პედაგოგთა სახელფასო ფონდის გადახედვა და შესაძლებლობის შემთხვევაში ხელფასების მომატება.

ლუიზა სარიშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ჯანდაცვის ცენტრის" ერთერთ პრობლემად რჩება სადეზინფექციო ჯგუფის შენარჩუნება. მოსახლეობის მხრიდან არის ძალიან დიდი მოთხოვნა და ხდება ჯგუფის გამოძახება როგორც ბაზებზე, ასევე სხვადასხვა ტიპის მწერებზე თუ ქვეწარმავლებზე. ჯგუფის მიერ ქვეწარმავლებზე გამოძახების შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა და ასევე შესაბამისი ხსნარები, რომელიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და აღნიშნულ ცენტრს ამის შესაძლებლობა არ გააჩნია. ასევე აუცილებელია მოხდეს ჯგუფის რეკლამირება, რომ მოსახლეობამ მაქსიმალურად მიიღოს ინფორმაცია სადეზინფექციო ჯგუფის არსებობის შესახებ. დეპუტატებმა გამოთქვეს მზადყოფნა და აღნიშნეს, რომ სოფლის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებენ მოსახლეობაში სადეზინფექციო ჯგუფის რეკლამირებაზე.

მერაბ ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა მერიას და საკრებულოს გვერდით დგომისთვის. მან აღნიშნა, რომ შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" წლის ბიუჯეტი სწორადაა დაგეგმილი და დღეის მდგომარეობით რაიმე სახის ფინანსურ დახმარებას არ საჭიროებს. ერთი რაც ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, არის ის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არ არის ცნობილი ტურიზმის კუთხით. ამისათვის ცენტრს აქვს შემუშავებული პროგრამა „აღმოაჩინე ლანჩხუთი", რომელიც ითვალისწინებს ულამაზესი ადგილების მოძიებას, დასურათებას და შემდგომ გაპიარებას, რომ ვიზიტორებმა შეძლოს მათი ნახვა. ასევე დაიბეჭდება ბროშურები, რომელშიც წარმოდგენილი იქნება პატარა კვლევები, თუ როგორ ავიყვანოთ ტურიზმი მაღალ დონეზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.

სალომე კვირკველიამ აღნიშნა, რომ შპს „სატრანსპორტო კომპანიის" ხელმძღვანელს აქტიური კომუნიკაცია აქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, რომელიც საქმის კურსშია იმის შესახებ, რომ კომპანიას მეოთხე კვარტალში ესაჭიროება თანხის დამატება, რომელიც გამოიწვია საწვავის ღირებულების ზრდამ. მან ასევე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ავტობუსების გაჩერებებზე ტრაფარეტების გაკეთება, ვინაიდან მოსახლეობამ უფრო კომფორტულად შეძლოს გადაადგილება. მისი თქმით კომპანიას გადაეცა ექსკავატორი, რომლის საჭიროებაც სულ არის მუნიციპალიტეტის სოფლებში, რაც საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული. ვერ ხერხდება აღნიშნული ტექნიკის გაქირავება და

კომპანიას საკუთარი ბიუჯეტიდან უწევს ექსკავატორის მუშაობით გამოწვეული ხარჯების დაფარვა. მისი თქმით კარგი იქნება თუ საჭიროების შემთხვევაში ა(ა)იპების მიერ კომპანიის კუთვნილი ტექნიკის გამოყენება იქნება ანაზღაურებადი.

მარინა კეიდიამ აღნიშნა, რომ დაიწყო და გრძელდება საბავშვო ბაღების ავტორიზაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ ექვსმა ბაღმა გაიარა ავტორიზაცია. აქედან სოფლების: ნიგვზიანის, აკეთის, ხაჯალიის, სუფსის და აცანის ბაღებმა გაიარეს სრული ავტორიზაცია, ხოლო ქალაქის ბაღს ქონდა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რის გამოც ნაწილობრივ გაიარა ავტორიზაცია. ყველასთვის ცნობილია, რომ ქალაქში შენდება ახალი ბაღი, რომლის დაპროექტებაც უკვე დაწყებულია და სავარაუდოდ 2 წელიწადში მშენებლობაც დამთავრდება. რაც შეეხება სოფელ ნინოშვილის ბაღს, მისი მშენებლობა თითქმის დამთავრებულია და სექტემბრის თვეში იგეგმება გახსნა. მომავალ წელს სოფელ ეწრის და ღრმაღელის ბაღებმა უნდა გაიარონ ავტორიზაცია. რაც შეეხება სოფელ წყალწმინდის ბაღს, შენობა ავარიულია და დაკეტილია, არ ფუნქციონირებს. აუცილებელია აშენდეს ახალი.

ასევე ავარიულია სოფელ ლესის და ჩოლობარგის საბავშვო ბაღების შენობები. აღნიშნული ბაღების დაპროექტებაზე გამოცხადდა ტენდერი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 68000 ლარს. აუცილებელია სოფლების შუხუთისა და მაჩხვარეთის ბაღების შენობებს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, რომ მათაც გაიარონ ავტორიზაცია. ამისთვის საჭიროა გამოცხადდეს ტენდერი 79000 ლარზე. მან აღნიშნა, რომ ტენდერების გამოცხადებისთვის საჭირო თანხა გაერთიანებას არ აქვს და მოითხოვა თანხის დამატება. მან ასევე აღნიშნა, რომ ბაღების მშენებლობას ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელთანაც აქტიურ კომუნიკაციაშია, რათა მშენებლობის დროს გათვალისწინებული იყოს ყოველი წვრილმანი დეტალი.

წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №6

ქ. ლანჩხუთი

28.07.2026 წელი

2026 წლის 28 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

28.07.2026 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 55	
2	ირაკლი ცინცაძე	13 58	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	13-57	
5	ტატო ურუშაძე	1355	
6	ვლადიმერ ნანაძე	13 55	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ვერიკო კვირკველია	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	